საერთაშორისო სამართლის ფილოსოფია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

საერთაშორისო სამართალი გახლავთ ერთი შეხედვით სხვადასხვა სოციოკულტურ რეგიონში ჩამოყალიბებულ კონოკულტურულ კავშირეთა მონოეთნოგენური მისწრაფებების სისტემატიზატორი. ჩემი აზრით საერთაშორისო სამართალი გახლავთ იურიდიული პოსტულატების ამფონერსული სამყარო, რომელსაც ახასიათებს რელატივაციური გარდაქმნები, რაც ასრულყოფილებს მის ფენომენალურ ბუნებას ჩემი ხედვით.

აღნიშნული მეცნიერება ქმნის ერთიან სამართლებრივ სისტემას, რომელიც აყალიბებს მსოფლიო ხალხთა თანასწორობაზე დაფუძნებულ დეონტურ იდეათა სილოგურად პროგრესირებად სამყაროს. საერთაშორისო სამართალი ახორციელებს ერთგვარ ემპირიულ-ანალიტიკურ ტრანსფორმაციათა ისტორიულ-გენეტიკურ ციკლს, რომლის საფუძველი გახლავთ სამართლის მეტაფიზიკის და პოსტსტრუქტურალისტური ფილოსოფიის კუმულაციური განხილვა. საერთაშორისო სამართლის კონცეფცია ერთიან კონგრუენტულ აბსოლუტად გარდაქმნის კონკრეტული ერის ისტორიულ სწრაფვასა და ეპოქის აქსიოლოგიუტ თავისებურებებს. კერძოდ, იგი ითვალისწინებს რა ისტორიულ მოთხოვნათა ცვალებადობის დესუნქციურ კანონს, დასაბამს უდევს იურიდიულ საზრისთა ფსიქოსოციალურ ჭრილში განხილვის ფსიქოგენეტიკურ პროცესს. ჩემი აზრით საერთაშორისო სამართალი გახლავთ კონცეპტუალური ხედვების რაციონალური სამყარო, რომელშიც ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის დეციზიონისტური აზროვნება და რელატიურად ცვალებადი ალტრუისტული სულიერება. აღნიშნული მოძღვრება ავითარებს თეორიას ერთიანი მსოფლიო სამართლის შექმნის შესახებ, რომლის მიზანი იქნება მშვიდობის დაცვა და საზოგადოებრივ კავშირთა განსავითარებლად შესაბამისი იურიდიული პირობების შექმნა. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, საერთაშორისო სამართლის დოგმატიკა თითქმის ყველა დარგობრივი მიმართულებით შეიცავს იურიდიულ დილემებს, რომელთა გადაწყვეტა სამართლის ფილოსოფიის შემეცნებით-თეორიულ მისიის გაანალიზების გარეშე წარმოუდგენელია. საერთაშორისო სამართალი იდეურ დონეზე ცდილობს ყოველი ეთნოსის უფლებათა დაცვას, ხშირად ეს მიზანი ზესახელმწიფოთა გეოსტრადეგიულ ინტერესებთა შეჯახების გამო მიუღწეველი რჩება. ჩემი აზრით საერთაშორისო სამართალში უნდა შეიქმნას „კონდომინიური პარიტეტი“ - კერძოდ, მცირე და დიდი ერების ერთობლივი ნებელობით უნდა დავამყაროთ ალტრუისტული მართლწესრიგი. მსოფლიო კულტურას არ ქმნიან დიდი სახელმწიფოები მეტიც, ხშირ შემთხვევაში კულტურული განვითარების პროცესის სათავეებთან სწორედ მცირე ერების წარმომადგენელი მოაზროვნეები დგანან. შესაბამისად აუცილებელია ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მათ განვითარებას. საერთაშორისო სამართალში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის პოლიტიკური დოქტრინა და სამართლებრივი ინტერესი, რაც ხშირად მძლავრ აზრობრივ ასონანსს წარმოშობს. საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ერთგვარ კომპარატორულ მატერიალიზატორს, რომელიც რეალურად ეყრდნობა მატერიალურ შემეცნებას და დაკავებულია პრაგმატიზმის კონცეფციის იდეურ მოთხოვნათა პრაქტიკულად ხორცშესხმით. საერთაშორისო სამართალში არსებობს ერთ-ერთი დილემა: საზღვრების ხელშეუხებლობის ვალდებულებისა და ერთად თვითგამორკვევის უფლების არსებობის სახით. ჩემი აზრით ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია ამ ცნებათა

დოგმატიკური ბალანსირება, კერძოდ, ერთად თვითგამორკვევის პროცესის საზღვრების შეცვლის ზენაციონალურ ლეგიტიმურ მიზანთან შერწყმა. ბუნებრივია ერთად თვითგამორკვევის საკითხი არ უნდა იყოს ნაკარნახევი მხოლოდ კონკრეტული ეთნოსის პოლიტიკური ინტერესებით, არამედ იგი უნდა კონტროლდებოდეს სამართლებრივი ინტერესების კორელირებული ექსტრაპოლაციით. მაგ: საქართველოში აღნიშნული პროცესი ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, კერძოდ, აფხაზური და ოსური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გაუღვივეს განცდა მშობლიური ქართველური პოლიეთნოგენური ფესვებისგან განზიდვისა, რაც დიდ საფრთხედ იქცა ზოგადად კავკასიური ეთნოკულტურული კავშირებისთვის სინქრონული კუთხით. საერთაშორისო სამართალი განიცდის ეპოქალურ ცვლილებებს და ეს ცვლილება განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. XXI - საუკუნის მსოფლიომ ააშენა დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებული სამყარო, რომელიც ჩვენი გონების ქვაკუთხედია.